

This is a trial edition prior to its formal edition.

We will be very grateful if you would give us your evaluation on its translation level.

Please, send us your opinion to baptism@bjnewlife.org

ტახტზე მჯდომარე იესო, როგორც მამა ღმერთის წარმომადგენელი

< გამოცხადება 5:1-14 >

“ვიხილე ტახტზე მჯდომარის მარჯვენაში შიგნიდან და გარედან ნაწერი წიგნი, შვიდი ბეჭდით დაბეჭდილი. ვიხილე ძლიერი ანგელოზი, დიდი ხმით მაუწყებელი: “ვინ არის ამ წიგნის გადაშლისა და მისი ბეჭდების ახსნის ღირსი?” არავის შეეძლო არც ცაში, არც მიწაზე, არც მიწის ქვეშ ამ წიგნის გადაშლა ან მასში ჩახედვა. ბევრს ვტიროდი იმის გამო, რომ არ მოიძებნებოდა ამ წიგნის გადაშლის ან მასში ჩახედვის ღირსი. ერთმა უხუცესთაგანმა მითხრა: “ნუ სტირი, გაიმარჯვა ლომმა, იუდას ტომიდან, დავითის ფესვმა, რათა გახსნას წიგნი და მისი შვიდი ბეჭედი.” შევხედე და აჰა, ტახტსა და ოთხს ცხოველს შორის და უხუცესებს შორის იდგა კრავი, როგორც დაკლული, და მას ჰქონდა შვიდი რქა და შვიდი თვალი, რომლებიც ღვთის შვიდი სულია, წარმოგზავნილი მთელ ქვეყანაზე. და მოვიდა და აიღო წიგნი ტახტზე მჯდომარის

მარჯვენიდან. და როცა მან აიღო წიგნი, ოთხი ცხოველი და ოცდაოთხი უხუცესი დაემხო კრავის წინ. ყოველ მათგანს ხელთ ეპყრა ქნარი და საკმევლებით სავსე ოქროს თასები, რომლებიც წმიდათა ღოცვებია. გალობენ ახალ საგალობელს და ამბობენ: “შენ ღირსი ხარ, აიღო წიგნი და ახსნა მისი ბეჭდები, ვინაიდან შენ დაიკალი და შენი სისხლით გამოგვისყიდე ღვთისათვის ყოველი ტომისა და ენისაგან, ხალხისა და ერისაგან. და შეუქმენი ისინი ჩვენს რმერთს სამეფოდ და მღვდლებად, და იმეფებენ მიწაზე.” ვიხილე და მოვისმინე მრავალი ანგელოზის ხმა ტახტის, ცხოველებისა და უხუცესების ირგვლივ, და მათი რიცხვი იყო ათიათასჯერ ათიათასი და ათასჯერ ათასი, რომლებიც დიდი ხმით ლაპარაკობდნენ: “ღირსია დაკლული კრავი, მიიღოს ძალა და სიმდიდრე, სიბრძნე და სიმტკიცე, დიდება, პატივი და კურთხევა.” და ყოველი ქმნილება, რომელიც არის ცაში და მიწაზე, მიწის ქვეშ და ზღვაში, და ყველაფერი, რაც მათშია, მესმოდა, რომ ამბობდა: “ტახტზე მჯდომსა და კრავს კურთხევა და პატივი და დიდება და სიმტკიცე უკუნითი უკუნისამდე”. და თქვა ოთხმა ცხოველმა: “ამინ”. ოცდაოთხი უხუცესი დაემხო და თაყვანი სცა ცოცხალს უკუნითი უკუნისამდე.”

განმარტება

მუხლი 1: “ვიხილე ტახტზე მჯდომარის მარჯვენაში შივნიდან და გარედან ნაწერი წივნი, შვიდი ბეჭდით დაბეჭდილი.”

აქ ნათქვამია, რომ მამა ღმერთს თავის მარჯვენაში ეკავა შვიდი ბეჭდით დაბეჭდილი გრაგნილი. ჩვენმა უფალმა იესო ქრისტემ აიღო გრაგნილი მამის მარჯვენიდან, რაც ნიშნავს, რომ მას მთელი ზეცის ძალაუფლება გადაეცა.

მუხლი 2-4: “ვიხილე ძლიერი ანგელოზი, დიდი ხმით მაუწყებელი: “ვინ არის ამ წივნის გადაშლის და მისი ბეჭდების ახსნის ღირსი?” არავის შეეძლო არც ცაში, არც მიწაზე, არც მიწის ქვეშ ამ წივნის გადაშლა ან მასში ჩახედვა..”

არავინ იყო, იესოს გარდა, ვისაც შეეძლო სამყაროს გასამართლება, ახალი ცისა და დედამიწის შექმნა და როგორც მამა ღმერთის წარმომადგენელს, მასში წმიდებთან ერთად ცხოვრება.

მუხლი 5: “ერთმა უხუცესთაგანმა მითხრა: “ნუ სტირი, გაიმარჯვა ლომმა, იუდას ტომიდან, დავითის ფესვმა, რათა გახსნას წივნი და მისი შვიდი ბეჭედი.”

აქ ფრაზა “ლომი იუდას ტომიდან, დავითის ფესვი” ხაზს უსვამს იმ ფაქტს, რომ იესო ქრისტე

არის ყოვლისშემძლე ღმერთი და მეფეთა მეფე, რომელიც ღირსია და შეუძლია სრულყოფილად შეასრულოს მამა ღმერთის გეგმა. იესო ქრისტე თვითონ არის ღმერთი და ასევე ღმერთის წარმომადგენელი, რომელიც ახორციელებს მამის გეგმას.

მუხლი 6: “შეხედე და აჰა, ტახტსა და ოთხს ცხოველს შორის და უხუცესებს შორის იღვა კრავი, როგორც დაკლული, და მას ჰქონდა შვიდი რქა და შვიდი თვალი, რომლებიც ღვთის შვიდი სულია, წარმოვზავნილი მთელ ქვეყანაზე.”

იესო ქრისტე, რომელმაც მამა ღმერთისგან ცასა და დედამიწაზე მთელი ძალაუფლება მიიღო, არის ყოვლისშემძლე ღმერთი, რომელმაც შექმნა ყველაფერი ამ ქვეყნად. ის მოვიდა დედამიწაზე ადამიანის ხორცში, აიღო წუთისოფლის ყველა ცოდვა და მოკვდა ამ ცოდვებისთვისგან ჩვენს გამოსასყიდათ.

მუხლი 7: “და მოვიდა და აიღო წიგნი ტახტზე მჯდომარის მარჯვენიდან.”

რადგან იესო ქრისტე ღმერთია, მას შეეძლო მამის ხელიდან გრაგნილის აღება. ეს ნიშნავდა იმას, რომ იმ მომენტიდან ჩვენი უფალი იესო ღმერთის ყველა საქმეს შეასრულებდა.

მუხლი 8: “და როცა მან აიღო წიგნი, ოთხი ცხოველი და ოცდაოთხი უხუცესი დაემხო კრავის წინ. ყოველ მათგანს ხელთ ეპყრა ქნარი და

საკმეველებით სავსე ოქროს თასები, რომლებიც წმიდათა ღოცებია.”

ეს ნიშნავს, რომ იესო ქრისტე იმოქმედებს მამა ღმერთის სახელითა და უფლებით, ვისი ერთ-ერთი უპირველესი ამოცანაა 24 უხუცესის და ოთხი ცხოველის მიერ წარდგენილი წმიდანთა ღოცების მოსმენა.

მუხლი 9: “გალობენ ახალ სავალობელს და ამბობენ: “შენ ღირსი ხარ, აიღო წიგნი და ახსნა მისი ბეჭდები, ვინაიდან შენ დაიკალი და შენი სისხლით გამოგვისყიდე ღვთისათვის ყოველი ტომისა და ენისაგან, ხალხისა და ერისაგან.”

აქ იესო ქრისტე განდიდებულია ზეციერ მსახურთა მიერ ღვთის წარმომადგენლად გახდომის შემდეგ. ეს ზეციური მსახურები განდიდებდნენ იესოს, წუთისოფლის ცოდვილთა მათი ცოდვებისგან დახსნის გამო. ამქვეყნად ყოფნის დროს იესო ქრისტე მოინათლა იეოანეს მიერ და წუთისოფლის ყველა ადამიანის მათი ცოდვებისგან სახსნელად ჯვარზე მოკვდა. ცოდვის საზღაურის საკუთარი სისხლის ფასის გადახდით მან ცოდვილნი მამა ღმერთისათვის გამოისყიდა. ამიტომ განდიდებდნენ ზეცის მსახურნი იმის სამართლიან საქმეებს, ვინც მათი ღმერთი გახდა.

მუხლი 10: “და შეუქმენი ისინი ჩვენს რმერთს სამეფოდ და მღვდლებად, და იმეფებენ მიწაზე.”

იესო ქრისტე, რომელიც გახდა მამა ღმერთის წარმომადგენელი, წმიდები ღმერთის სასუფევლის ადამიანებად და მღვდლებად აქცია და მისცა მათ ამ სამეფოში გაბატონების უფლება. ამრიგად ის კიდევ უფრო მეტად იყო ზეციური მსახურების მხრიდან მთელი დიდების მიღების ღირსი.

მუხლი 11-12: “ვიხილე და მოვისმინე მრავალი ანგელოზის ხმა ტახტის, ცხოველებისა და უხუცესების ირგვლივ, და მათი რიცხვი იყო ათიათასჯერ ათიათასი და ათასჯერ ათასი, რომლებიც დიდი ხმით ღაპარაკობდნენ: “ღირსია დაკლული კრავი, მიიღოს ძალა და სიმდიდრე, სიბრძნე და სიმტკიცე, დიდება, პატივი და კურთხევა.”

რადგან იესომ იოანესთან მონათვლის გზით საკუთარი სხეულით სამყაროს ყველა ცოდვა იტვირთა, მას შეეძლო ჯვარზე სისხლის დაღვრა, და ამისათვის ის ღირსია მიიღოს ძალა, სიმდიდრე, სიბრძნე, ძალაუფლება, პატივი, დიდება და კურთხევა ზეცის ყველა არსებათა მხრიდან, როგორც მამა ღმერთის წარმომადგენელი. ზეციურ მსახურთა და ანგელოზთა გარემოცვაში, ის მათგან მთელ დიდებას და ხოტბას ღებულობს. აღილუია! დიდება უფალს! ღმერთის ტახტის ირგვლივ 24 უხუცესი და ოთხი ცხოველი იყო. მათ განადიდეს ღმერთი, რომელმაც დაიხსნა ყველა სული

ცოდვისგან, რადგან მისი დიდება უკუნიითი უკუნისამდეა.

მუხლი 13-14: “და ყოველი ქმნილება, რომელიც არის ცაში და მიწაზე, მიწის ქვეშ და ზღვაში, და ყველაფერი, რაც მათშია, მესმოდა, რომ ამბობდა: “ტახტზე მჯდომსა და კრავს კურთხევა და პატივი და დიდება და სიმტკიცე უკუნიითი უკუნისამდე”. და თქვა ოთხმა ცხოველმა: “ამინ”. ოცდაოთხი უხუცესი დაემხო და თაყვანი სცა ცოცხალს უკუნიითი უკუნისამდე.”

ბოლოს კი იესო ქრისტე, რომელიც გახდა ღმერთის წარმომადგენელი, ამაღლებულ იქნა როგორც ის, ვინც ღირსია ზეციურ მსახურთაგან მთელი ხოტბისა და დიდების მიღებისა. ზეცის ყველა არსებამ აღუვლინა მას კურთხევა, პატივი და დიდება აწ, და მარადის და უკუნიითი უკუნისამდე, რადგან ის, რომ ღმერთმა ასეთი დიდება დაიმსახურა, საოცარია და მადლიერების ღირსი. ყველა წმიდამ, ცაში თუ დედამიწაზე, დიდება და პატივი უნდა მიაგონ იმას, ვინც ავიდა ტახტზე, როგორც მამა ღმერთის წარმომადგენელი. ☒

კრავი, რომელიც ტახტზეა დაბრძანებული

< გამოცხადება 5:1-14 >

ჩვენ ახლახან გამოცხადების მე-5 თავი განვიხილეთ. ღმერთის სიტყვა აქ გვეუბნება, რომ უფალი არის ის, ვინც უკანასკნელ დღეებში კაცობრიობის მხსნელიც და განმკითხველიც იქნება. ვინაა ეს უფალი, რომელიც ჩვენ ვიწამეთ? სიტყვა გვეუბნება, რომ იესო ქრისტე არის მის მორწმუნეთა მხსნელი, არის მთელი კაცობრიობის მოსამართლე და მეფეთა მეფე.

ხშირად იესოს უფლობაზე შეზღუდულად ვმსჯელობთ. მაგრამ ჩვენი უფალი არის მთელი ქმნილების განმკითხველი.

წყლისა და სულის სახარების მოცემით უფალმა ყველა ცოდვისგან, გასამართლებისგან და განადგურებისგან დაგვიხსნა. ამიტომ უფალი გახდა ჩვენი ჭეშმარიტი მხსნელი და ღმერთი. ამავე დროს, ჩვენი უფალი არის მთელი კაცობრიობის მეუფე და მოსამართლე. მოდით დღეს გამოვადვიოთ ჩვენი

მადლიერი გულები უფლისათვის, რომელიც ვიწამეთ და რომელსაც მივენდეთ.

პირველი მუხლიდან დაწყებული ჩვენ ვხედავთ, რომ ტახტზე მჯდომარეს მარჯვენაში გრაგნილი იყო და რომ კრავმა – იესო ქრისტემ – ეს გრაგნილი აიღო. ბოლო მუხლში ასევე ვხედავთ, რომ უფალი დაბრძანდა თავის ტახტზე. ეს სიტყვა გვაუწყებს იმაზე, რომ მალე უფალი მთელ კაცობრიობას განიკითხავს, მორწმუნეებსა და ურწმუნოებს. ამრიგად შეგვიძლია ვიცოდეთ და გვწამდეს, რომ იესო ქრისტე არის ღმერთი, რომელიც გახდა ყოველივეს განმკითხველი.

უფალი თავის ჯილდოებსა და სასჯელში მხოლოდ ჩვენით, ხელახლა შობილებით არ შემოიფარგლება, არამედ ის მთელი კაცობრიობისთვის და სამყაროს ყოველი არსებისათვის არის ჭეშმარიტი მოსამართლე და მეფეთა მეფე. ადამიანები ხშირად იძახიან, რომ უკვე 21 საუკუნეში შემოვაბიჯეთ. შესაძლოა ეს საუკუნე უფლის დაბრუნების უამად იქცეს. როცა ვამბობთ, რომ უფლის მოსვლა გარდაუვალია, ეს ნიშნავს, რომ სამყაროს განადგურება ასევე გარდაუვალია.

ამ სიტყვიდან ვხედავთ, რომ უფალს აქვს ყოველივეს განკითხვის ძალაუფლება. ჩვენი უფალი მოვიდა ამ დედამიწაზე ადამიანის ხორცში და 30 წლის ასაკში მან თავისი ნათლობით ერთიანად

იტვირთა მთელი კაცობრიობის ცოდვები და შემდეგ ჯვარზე განიკითხა კაცობრიობის ცოდვების გამო.

მხოლოდ მამა ღმერთს შეუძლია პატივისა და ღიძების მიღება ყოველი სულდგმულისაგან ცაზე და დედამიწაზე. მაგრამ ღმერთის ძეს, იესო ქრისტეს, მიეცა უფლება, რომ მამასთან ერთად მიეღო პატივი და ღიძება მამა ღმერთის ნებისადმი მორჩილებისა და მისი შესრულებისათვის. ამიტომ ქრისტემ შეძლო მემკვიდრეობით მიეღო მამისგან მთელი მისი ძალაუფლება.

იესო ქრისტეს მიეცა მთელი კაცობრიობის გასამართლების უფლება, და მთელი კაცობრიობა დახსნილია და გასამართლებულია მხოლოდ მისით. ძალზე სასარგებლოა ვიცოდეთ, თუ ვინაა სინამდვილეში უფალი, რომელმაც ჩვენ დაგვიხსნა. ეს ცოდნა ასევე იმისთვისაა საჭირო, რომ უკანასკნელ უამს ძლიერი რწმენა შევინარჩუნოთ. როცა უფლის გვწამს და ნათლად გვესმის, თუ რამხელა ძალაუფლება გააჩნია მას, ასეთი ცოდნა ჩვენთვის დიდ ძალისხმევად იქცევა.

ჩვენი მაცხოვარი არის ის, ვისაც გააჩნია ბოროტისა ან კეთილის გამო ყველა არსების გასამართლების უფლება. უნდა გავიგოთ და გვწამდეს, რომ ეს უფალი იგივე თაყვანისცემის ღირსია, რაც მამა ღმერთი. ნაწყვეტი გვეუბნება, რომ ჩვენი უფალი მოვიდა ამ დედამიწაზე და მოიკლა, რომ თავისი სისხლით მან ყოველი ტომიდან, ენიდან,

ხალხსა თუ ერიდან ღმერთისთვის ყოველი ადამიანი გამოისყიდა და გაუხადა ისინი ღმერთს მეფეებად და მღვდლებად, რათა ებატონათ ამ დედამიწაზე.

შემდეგი ნაწყვეტი გვეუბნება, რომ ზეცაში გაისმა ათიათასჯერ ათასი ანგელოზის ხმა, რომლებიც ხმამაღალი ხმით აღიდებდნენ უფალს: *“ღირსია დაკლული კრავი, მიიღოს ძალა და სიმდიდრე, სიბრძნე და სიმტკიცე, დიდება, პატივი და კურთხევა!”* იოანე აგრძელებს თავის მოწმობას იმის შესახებ, რაც მან იხილა და მოისმინა, მე-13 მუხლში: *“და ყოველი ქმნილება, რომელიც არის ცაში და მიწაზე, მიწის ქვეშ და ზღვაში, და ყველაფერი, რაც მათშია, მესმოდა, რომ ამბობდა: “ტახტზე მჯდომსა და კრავს კურთხევა და პატივი და დიდება და სიმტკიცე უკუნითი უკუნისამდე”.* მაშ, ვის აღუვლენს მთელი ქმნილება მთელ დიდებას? ესაა ტახტზე ასული კრავი, რომელსაც მიეცა მთელი კურთხევა, პატივი, დიდება და ძალაუფლება, უკუნითი უკუნისამდე.

დიდება, ხოტბა და განდიდება მთელი კაცობრიობის მხრიდან ეკუთვნის მხოლოდ ღმერთს, იესო ქრისტეს მამას. მაგრამ ვინაიდან იესო ქრისტეს ამჟამად იგივე ძალაუფლება აქვს, რაც მამას, მას შემდეგ რაც მოვიდა დედამიწაზე და დაიხსნა კაცობრიობა მისი ცოდვებისგან, განადგურებასა და განკითხვისაგან, ამ გამოსყიდვის ხსნისათვის მას

მამასთან ერთად მთელი დიდება მიეცა და ის გახდა ჩვენი მხსნელი, მთელი დიდების ღისრსი.

მარტო ის აზრი, რომ ტახტზე მჯდომარე უფალი, რომელიცაა ყოველივეს მეუფე და მოსამართლე, არის ასევე ჩვენი მხსნელი, - ჩვენს გულებს უდიდესი სიხარულითა და დიდებით ავსებს. სწორედ ასეა – უფალი არის მეფეთა მეფე, ქმნილების ღმერთი, რომლის მიერ სამყაროში ყოველივე შეიქმნა.

რადგან უფალი არის ქმნილების ღმერთი, რომელიც მოვიდა ამქვეყნად და დაგვიხსნა თავისი წყლითა და სისხლით, ის ღირსია, რომ მთელმა კაცობრიობამ და ყოველივემ ამ სამყაროში მისი ტახტის წინაშე მუხლი მოიდრიკოს და მას მთელი დიდება, ხოტბა, განდიდება და პატივი აღუვლინოს. ჩვენი რწმენა ფრიად ძლიერდება და გულები სიმხნევით ივსება იმის ცოდნით, რომ ეს უფალი არის ის, ვინც ზის დიდების ტახტზე, როგორც ყოველივეს მოსამართლე.

ზოგი იესოს უბრალოდ მსოფლიოს ოთხთაგან ერთ-ერთ უდიდეს ბრძენკაცად მიიჩნევს, მაგრამ უფალი არაა ადამიანი. უფალი არის ჩვენი ღმერთი, რომელმაც შეგვქმნა და დაგვიხსნა. ამიტომ არასოდეს არ უნდა ვადარებდეთ ყოველი ქმნილების უფალს უბრალო ადამიანებს. არც სოკრატეს, არც კონფუციუსის, ბუდას ან სხვა ადამიანთა შედარება უფალთან არ შეიძლება. იესომ იცხოვრა ადამიანის

სახით მხოლოდ 33 წელი, რათა დავეხსენით. მაგრამ მისი არსი ღმერთის თანაბარია. შესაძლოა ეს მეტაფორა საუკეთესო არ იყოს, მაგრამ ისევე როგორც ადამიანები შობენ ადამიანებს, იესო ქრისტეც არის ღმერთი, რადგან არის მამა ღმერთის ძე.

ამიტომ იესო თვითონ არის ღმერთი, ჩვენი ქმნილების უფალი, მაგრამ ის მოვევლინა ამ ქვეყანას ჩვენს გადასარჩენად. ვინაიდან მან დაგვიხსნა, ის ღირსია ჩვენგან მთელი დიდების მიგებისა, და მტკიცედ უნდა გვწამდეს ჩვენს გულებში, რომ იესო არაა ქმნილება, არამედ შემოქმედი. რაოდენ სავსენი ვართ სიხარულითა და მადლიერებით!

ჩვენი უფალი, რომელსაც ღმერთის გეგმის აღსრულება შეუძლია

არავის ძალუძს, უფლის გარდა, შვიდი ბეჭდით დაბეჭდილი გრაგნილის გახსნა, რომელიცაა ღმერთის აღთქმის გრაგნილი. ყოველივე ამ სამყაროში, ჩვენის ჩათვლით, ღმერთმა იესო ქრისტეში შექმნა. შექმნამდე ღმერთმა იესო ქრისტეში გეგმა დასახა, რათა მისი შვილები გავეხადეთ. ჩვენი უფალი ღებულობს ამ დაბეჭდილ გრაგნილს ქმნილების შესახებ ღმერთის განზრახვის და მისი გეგმის შესასრულებლად, და ასევე მთელი კაცობრიობის განსაკითხველად.

ღმერთის სიტყვა გვეუბნება, *“არავის შეეძლო არც ცაში, არც მიწაზე, არც მიწის ქვეშ ამ წიგნის გადაშლა ან მასში ჩახედვა.”* სხვა სიტყვებით, არ იყო არავინ, ვისაც შეეძლო ღმერთის გეგმის სისრულეში მოყვანა. მხოლოდ იესო ქრისტეს შეუძლია ამის გაკეთება. რატომ? იმიტომ რომ ღმერთმა დაგეგმა ყოველივე თავის ძეში.

ეს ასევე ნიშნავს, რომ უფალს აქვს შვიდი ბეჭდით დაბეჭდილი გრაგნილის გაღების ძალაუფლება, რომელშიცაა მამა ღმერთის გეგმა. ამ ძალაუფლებით იესომ სამპიროვანი ღმერთის გეგმის ყოველი ნაწილი შეასრულა, როცა ნათლობაში ყველა ჩვენი ცოდვა აიღო თავის თავზე და დაგვიხსნა ჩვენს ნაცვლად ჯვარზე ამ ცოდვებისთვის სამსჯავროს მიღებით. უფალმა გაგვხადა მღვდლებად ღმერთისთვის იმით, რომ ცოდვისგან დაგვიხსნა თავისი მსხვერპლითა და საკუთარი სიცოცხლის ფასით.

ასევე იესო ქრისტემ მისი ხსნის მორწმუნეებს მასთან ერთად გამეფების უფლება მისცა. როგორც ღმერთის სიტყვა გვეუბნება, *“ჩვენ ვიმეფებთ დედამიწაზე.”* როცა უფალი დაბრუნდება ამ ქვეყანაზე, ის ისევ დაიპყრობს ყოველივეს და დედამიწაზე ათასწლეულის სამეფოს მოავლენს. ☒